



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 01 აგვისტოს
სხდომის ოქმი**

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
სხდომის დაწყების დრო: 16:30 საათი

სხდომაში მონაწილეობდნენ აღმასრულებელი საბჭოს წევრები (დისტანციურ რეჟიმში): დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მარიამ კუბლაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი, გიორგი თევზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ციცილო ცხვედიანი, ტარიელ კაკაბაძე.

საკითხი 1. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის თარიღის განსაზღვრა

აღმასრულებელი საბჭოს წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის სავარაუდო რეგისტრაციის თარიღების თაობაზე. წევრები გაეცნენ წარმოდგენილ ინფორმაციას და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის თარიღი განისაზღვროს 2019 წლის 2 სექტემბრიდან - 30 სექტემბრის ჩათვლით.

საკითხი 2. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელ კურსზე რეგისტრაციის თარიღის განსაზღვრა

აღმასრულებელი საბჭოს წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსზე სავარაუდო რეგისტრაციის თარიღების თაობაზე. წევრები გაეცნენ წარმოდგენილ ინფორმაციას და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელ კურსზე რეგისტრაციის თარიღი განისაზღვროს 2019 წლის 5 აგვისტოდან - 10 სექტემბრის ჩათვლით.

საკითხი 3. აკრედიტაციის მინიჭების საკითხის განხილვა

წევრები გაეცნენ ევროპის საბჭოს პროგრამის - ადამიანის უფლებათა განათლების შესახებ (HELP) მომართვას დისტანციური სწავლების პროგრამებისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული მომართვა შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებით დადგენილ მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება**: დაკმაყოფილდეს ევროპის საბჭოს პროგრამის ადამიანის უფლებათა განათლების შესახებ (HELP) მომართვა დისტანციური სწავლების პროგრამებისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე